გამოფენა „ქართული ხელნაწერი“

26 სექტემბერს 16:15 საათზე კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიხსნება გამოფენა ”ქართული ხელნაწერი”, რომელიც დაგეგმილია მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში. 17:00 საათზე კი ,ქართული ანბანის დღის ღონისძიებების საზეიმო დახურვის აღსანიშნავად, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ეზოში შედგება ქართველი მუსიკოსის ნიაზ დიასამიძის კონცერტი.

გამოფენის „ქართული ხელნაწერი“ მიზანია საზოგადოებას გააცნოს უნიკალური ქართული დამწერლობის სამივე სახეობის ამსახველი ნიმუშები, ის უდიდესი ინტელექტუალური საგანძური, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ვანის, გელათის, ალავერდის ოთხთავები, ვეფხისტყაოსანი და სხვა მნიშვნელოვანი ხელნაწერების ორიგინალები. ისინი მოწმობენ იმ დიდ კულტურასა და თვითმყოფადობას, რითაც სამართლიანად ამაყობს ქართველი ერი.

სხვადასხვა პერიოდის კულტურული ძეგლების დათვალიერებისას მნახველს საშუალება ეძლევა თვალი გაადევნოს ქართული ხელნაწერი წიგნის განვითარების ისტორიას, მის მრავალფეროვნებას, ქართული კულტურის ურთიერთობას მსოფლიო ცივილიზაციებთან.

გამოფენა „ქართული ხელნაწერი“ 2 დღის განმავლობაში გაგრძელდება საერთაშორისო კონფერენციის „საქართველო – ბიზანტია - ქრისტიანული აღმოსავლეთის“ მონაწილეებისათვის.

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე - 577 977 199; pr@manuscript.ac.ge - www.manuscript.ge
მის: თბილისი, მ. ალექსიძის 1/3\\\\